

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

08 .04. 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 6/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძველები	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	7
სახელმწიფო შესყიდვები	7
გულის ქირურგიის ქვეპროგრამა	11
ინვენტარიზაცია	11
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	11
სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	13
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	16
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	17



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ბუღალტრულ ანგარიშგებაში, არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი დანართი ფორმა N2, ფორმა N3 და ფორმა N5, რაც ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ,



ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის 2014 წლის ბალანსის თანახმად, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს 8 077 335 ლარს. მათ შორის, ხარჯები 7 850 265 ლარს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 221 004 ლარს, ხოლო ვალდებულებების კლება - 6 067 ლარს. ჩატარებული აუდიტით დგინდება, რომ ხარჯების საკასო შესრულება ნაცვლად 7 850 265 ლარისა, შეადგენს 7 849 698 ლარს. კერძოდ, საბალანსო მონაცემებით სოციალური დახმარების (272) საკასო და ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს არა 6 257 360 ლარს, არამედ 6 256 454 ლარს. შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის და შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ბალანსის დანართი ფორმა N2 და ფორმა N3.

ძირითადი აქტივების მიღება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ბალანსის დანართი ფორმა N5-ის თანახმად, ძირითადი აქტივების მიღება ბარტერით შეადგენს 32 523 ლარს, ხოლო ძირითადი აქტივების მიღება გრანტებით - 238 939 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა“ გაეროს მოსახლეობის ფონდისგან უსასყიდლოდ, გრანტის სახით მიიღო 18 500 აშშ დოლარის ექვივალენტი 32 523 ლარის ღირებულების ავტომანქანა ჰიუნდაი ტუქსონი¹. მოქმედი მარეგულირებელი ნორმებით, აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს ძირითადი აქტივების მიღებას გრანტებით, თუმცა ოპერაცია სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2014 წლის ბალანსის დანართი ფორმა N5-ში და შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის კონსოლიდირებული ბალანსის დანართი ფორმა N5-ში ასახულია, როგორც ძირითადი აქტივების მიღება ბარტერით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი

¹ საკუთრების უფლების გადაცემა დონაციის ფორმით 12/10/2014 წ.



ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ძირითადი აქტივების მიღება გრანტებით შეადგენს 271 462 ლარს, ხოლო ძირითადი აქტივების მიღება ბარტერიით სამინისტროს არ განუხორციელებია.

შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის ბალანსის დანართი ფორმა N3-ის თანახმად, სამინისტროს სრული შემოსავლები (ანგარიშის N6000) შეადგენს 652 818 ლარს, მათ შორის, გრანტები (ანგარიშის N6300) - 891 757 ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება (1600-2000) - 32 523 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის აუდიტით დგინდება, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსის დანართი ფორმა N3-ის მონაცემი შემოსავლების (ანგარიშის N6000) შესახებ ნაცვლად ზემოაღნიშნულისა, შეადგენს 924 280 ლარს, მათ შორის, გრანტები (ანგარიშის N6300) - 924 280 ლარს, ხოლო არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება (ანგარიშის N1600-2000) არ განხორციელებულა.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

სახელმწიფო შესყიდვები

ავტომობილების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის სარგებლობაში არსებული ავტომობილების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ², პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 43 621 ლარი. პრეისკურანტით საქონლის/ მომსახურების ზღვრული ფასი განსაზღვრულია ბაზრის სათანადო კვლევის გარეშე³. ტენდერში გაიმარჯვა შპს „მათე მოტორსმა“. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების⁴ ღირებულებამ შეადგინა 13 500 ლარი, ხოლო პრეისკურანტების ჯამურმა ღირებულებამ 33 422 ლარი.

ხელშეკრულებაში 2014 წლის 27 თებერვლის⁵ და 2014 წლის 31 მარტის⁶ შეთანხმებებით შევიდა ცვლილებები, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შედეგების ველში) ატვირთულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადების გაუთვალისწინებლად, 2014 წლის 9 სექტემბერს⁷. გარდა აღნიშნულისა, ფიქსირდება შემთხვევა, როცა მხარეთა მიერ შედგენილი დეფექტური⁸ და მიღება-ჩაბარების⁹ აქტები, მომსახურებების ღირებულების მითითებით და მიმწოდებელი კომპანიის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურა¹⁰ წინ უსწრებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას. შესაბამისად, ცვლილების/ დამატების განხორციელებისას ბაზრის კვლევა

² SPA140001763

³ მაგ. ავტომანქანა „ნივის“ წინა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლის ზღვრული ფასი შეადგენს 35 ლარს

⁴ ხელშეკრულება N006/გ.ე.ტ, 07/02/2014 წ.

⁵ შეთანხმების ოქმი N1, 27/02/2014 წ.

⁶ შეთანხმების ოქმი N2, 31/03/2014 წ.

⁷ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი

⁸ დეფექტური აქტი 15/02/2014 წ.

⁹ მიღება-ჩაბარების აქტი 17/02/2014 წ.

¹⁰ საგადასახადო ანგარიშფაქტურა ეა-02 4791743, 17/02/2014 წ.



ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ არის მიმართული მარეგულირებელი ნორმის მიზნების მისაღწევად.

აღინიშნა შემთხვევები, როდესაც მიწოდებული მომსახურების ღირებულება პრეისკურანტით არ არის გათვალისწინებული¹¹ ან/და პრეისკურანტში მითითებულია ერთიდაიგივე სათადარიგო ნაწილის და თანმდევი მომსახურების ღირებულება ორჯერ, სხვადასხვა ფასით, თუმცა შემსყიდველის მიერ ანაზღაურებულია უფრო მაღალი ფასი¹². აგრეთვე, პრეისკურანტი, რიგ შემთხვევებში, არ იძლევა მომსახურებათა გამიჯვნის შესაძლებლობას. მაგ. ავტომანქანა „ნივის“ შემთხვევაში, ძრავის რემონტი მარტივი, საშუალო და რთული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტომანქანა „ნივის“ ძრავის „რთული რემონტი“ განხორციელდა 2014 წლის 25 სექტემბერს¹³, ხოლო ძრავის „მარტივი რემონტი“ - 2014 წლის 17 დეკემბერს¹⁴. შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო განმარტება ძრავის „რთული რემონტიდან“ სამ თვეზე ნაკლებ ვადაში ძრავის ხელახალი რემონტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

სმენის აპარატების სახელმწიფო შესყიდვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატმა, „სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, სმენის აპარატების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁵. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 135 000 ლარი. ტენდერში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი - Oticon A/S¹⁶ (ბოლო შეთავაზების ფასი 88 499 ლარი) და შპს „კინდ სმენა“¹⁷ (ბოლო შეთავაზების ფასი 88 500 ლარი). სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით¹⁸ Oticon A/S-ს მიეცა დისკვალიფიკაცია, რის საფუძვლადაც კომისია მიუთითებს, რომ დანიური კომპანიის დაზუსტებული

¹¹ მაგ. ელექტრომომსახურება - ღირებულება 50 ლარი (მიღება-ჩაბარების აქტი 17/02/2014 წ.)

¹² ნისან ნავარას თერმოსტატის ღირებულება, პრეისკურანტის მე-17 პუნქტით შეადგენს 80 ლარს, მომსახურების ღირებულება 50 ლარს, ხოლო პრეისკურანტის 38-ე პუნქტით, თერმოსტატის ღირებულება შეადგენს 50 ლარს, მომსახურების ღირებულება 0 ლარს. 2014 წლის 3 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, თერმოსტატის მოხსნა-მიყენებაში გადახდილია 50 ლარი.

¹³ მიღება-ჩაბარების აქტი 25/09/2014 წ. (ძრავის რთული რემონტის ღირებულება 380 ლარი)

¹⁴ მიღება-ჩაბარების აქტი 17/12/2014 წ. (ძრავის მარტივი რემონტის ღირებულება 170 ლარი)

¹⁵ SPA140007569

¹⁶ საიდენტიფიკაციო კოდი DK42334219 (დანიის სამეფოს რეზიდენტი კომპანია)

¹⁷ საიდენტიფიკაციო კოდი 204878365

¹⁸ სატენდერო კომისიის ოქმი N3, 27/03/2014 წ.



სატენდერო წინადადებებით შეიცვალა მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური პარამეტრები. კერძოდ, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის სმენის დაქვეითებისათვის სასმენი აპარატის გაძლიერება ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი იყო 60-69 დბ, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია მაქსიმალური გაძლიერება 74 დბ, ხოლო მძიმე სმენის დაქვეითებისათვის სასმენი აპარატის გაძლიერება ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი იყო 78-82 დბ, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია მაქსიმალური გაძლიერება 85 დბ.

მომდევნო პრეტენდენტის - შპს „კინდ სმენის“ მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, რის საფუძველზეც სატენდერო კომისიამ შპს „კინდ სმენა“ გამოაცხადა გამარჯვებულად და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება¹⁹. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური მახასიათებლების ქართული თარგმანის ავთენტურობა გადამოწმებული იქნა სატენდერო წინადადებაში მითითებულ ვებ-გვერდზე²⁰. შედარებისთვის წარმოდგენილია ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი პარამეტრები, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი და შესაბამის ვებ-გვერდზე არსებული მონაცემები:

N	დასახელება	ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი პარამეტრები	პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი მონაცემები	ვებ-გვერდზე არსებული მონაცემები
მსუბუქი და საშუალო სიმძიმის სმენის დაქვეითებისათვის სასმენი აპარატი²¹				
1	აკუსტიკური გაძლიერება	60-69 დბ	60-69 დბ	69-72 დბ
2	მაქსიმალური გამოსავლის დონე	1600 ჰც 139 დბ	1600 ჰც 139 დბ	1600 ჰც 134 დბ
3	ელემენტის ტიპი	312	312 ან 13	13
მძიმე სმენის დაქვეითებისათვის სასმენი აპარატი²²				
1	აკუსტიკური გაძლიერება	78-82 დბ	78-81 დბ	72-82 დბ
2	მაქსიმალური გამოსავლის დონე	1600 ჰც 144 დბ	1600 ჰც 144 დბ	1600 ჰც 133 დბ
3	ექვივალენტური შემავალი ხმაურის დონე	<22	<22	<28

ცხრილიდან გამომდინარე, ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სასმენი აპარატების ტექნიკური მონაცემები შეუსაბამოა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ტექნიკური დავალების პარამეტრებთან.

¹⁹ ხელშეკრულება N009/გ.ე.ტ, 02/05/2014 წ.

²⁰ www.audifon.de

²¹ Allegro M/MT (ვებ-გვერდი: <http://www.audifon.com/fileadmin/pdf/professionals/en/datasheet/allegroM.pdf>)

²² Allegro X/XT (ვებ-გვერდი: http://www.audifon.com/fileadmin/pdf/professionals/en/datasheet/allegroX_XT.pdf)



ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ, ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ცხრა ელექტრონული ტენდერიდან ოთხ შემთხვევაში ტენდერში დაფიქსირებული საბოლოო ფასები მნიშვნელოვნად დაბალია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ განსაზღვრულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

N	შესყიდვის დასახელება	სატენდერო განცხადების ნომერი	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ხელშეკრულების ღირებულება	ფასი შემცირებულია (%-ით)
1	ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში	SPA140000900	150 000	49 888	67%
2	მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა (ბათუმი)	SPA140000915	115 157	67 488	41%
3	C ვირუსული ჰეპატიტის დიაგნოსტიკა მოზრდილ მოსახლეობაში	SPA140001049	80 000	33 999	58%
4	კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში	SPA140001192	79 200	24 988	68%
ჯამი:			424 357	176 363	58%

შრომის ბაზრის კვლევის მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა

სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტომ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე შრომის ბაზრის კვლევის ²³ მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი²⁴. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 28 000 ლარით. ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ღირებულება შემცირდა 55.7%-ით და შეადგინა 12 400 ლარი²⁵. ამასთან, სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ დებულებით განსაზღვრულ ფუნქციას წარმოადგენს შრომის ბაზრის სისტემატური კვლევა²⁶.

²³ 79300000 - ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა

²⁴ SPA140007283

²⁵ ხელშეკრულება N08-08/01 გ.ე.ტ, 08/04/2014 წ.

²⁶ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის N43 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს“ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი



გულის ქირურგიის ქვეპროგრამა

გულის ქირურგიის ქვეპროგრამის ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის²⁷ თანახმად, პაციენტის მოთხოვნით განსხვავებული (ძვირადღირებული) სტენტის გამოყენების შემთხვევაში სტენტის ღირებულებას მთლიანად ფარავს პაციენტი. ასეთ შემთხვევაში ანგიოპლასტიკა ფინანსდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციის დაცვით სტენტის ღირებულების გამოკლებით. ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შერჩევითი აუდიტით²⁸ აღინიშნა შემთხვევა, როდესაც ქვეპროგრამის ბენეფიციარს²⁹ გაეწია ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება - კორონარული არტერიების ანგიოპლასტიკა სტენტის ჩადგმით. შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით³⁰ დგინდება, რომ გამოყენებულია განსხვავებული (ძვირადღირებული) სტენტი. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებას სამინისტროსგან უნდა მოეთხოვა გაწეული მომსახურების ანაზღაურება სტენტის საფასურის გამოკლებით, რაც არ განუხორციელებია.

ინვენტარიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, დადგენილი წესით, ხელშეკრულებები არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან³¹.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 8 839 707 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 9 336 310 ლარი. სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის შეადგენს 496 603 ლარს, რაც განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით.

²⁷ დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N12/148 ბრძანებით

²⁸ შპს „უნიმედი აჭარა“, 30 ერთეული სამედიცინო ვაუჩერი

²⁹ გულის ქირურგიის ქვეპროგრამის ვაუჩერი N327, 13/10/2014 წ.

³⁰ შპს „უნიმედი აჭარას“ ხარჯთაღრიცხვა N9501/T-1

³¹ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი



სამინისტროს 2014 წლის მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 195 538 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 98.5%-ია. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (ლარში):

დასახელება	დამტკიცებულ ბიუჯეტი	დაზუსტებულ ბიუჯეტი	საკასო შესრულება	გადახრა (დაზუსტებულ - საკასო)	დაზუსტებულ ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
ხარჯები	8 637 607	9 099 991	8 959 373	140 618	98.5
შრომის ანაზღაურება	1 988 700	1 988 426	1 988 362	64	100.0
საქონელი და მომსახურება	475 800	413 337	376 097	37 240	91.0
სოციალური უზრუნველყოფა	5 746 559	6 336 336	6 257 211	79 125	98.8
სხვა ხარჯები	426 548	361 892	337 703	24 189	93.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	202 100	228 904	228 753	151	99.9
ვალდებულებების კლება		7 415	7 412	3	100.0
სულ:	8 839 707	9 336 310	9 195 538	140 772	98.5

შრომის ანაზღაურების 2014 წლის საკასო და ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 1 988 363 ლარს. მათ შორის, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 328 762 ლარს, ხოლო პრემია - 659 601 ლარს. გაცემული პრემია თანამდებობრივი სარგოს 49.6%-ია.

საქონელი და მომსახურების მუხლის 2014 წლის საკასო შესრულება შეადგენს 376 097 ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი - 383 739 ლარს. სრული ინფორმაცია საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ცხრილის სახით (ლარში):

დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა დაზუსტებულ ბიუჯეტსა და საკასო შესრულებას შორის	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	31 020	31 020	31 020			100.0
მივლინება	37 000	32 134	32 134	4 866		86.8
ოფისის ხარჯები	136 914	121 675	124 691	15 239	3 016	88.9
წარმომადგენლობითი ხარჯები	23 500	22 800	22 800	700		97.0
რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის და.... ხარჯები	200	200	200			100.0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლ. და მოვლა- შენახვის ხარჯები	117 843	103 028	107 654	14 815	4 626	87.4
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	66 860	65 240	65 240	1 620		97.6
სულ საქონელი და მომსახურება	413 337	376 097	383 739	37 240	7 642	91.0



სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 6 336 336 ლარს, საკასო შესრულება - 6 257 211 ლარს (დაზუსტებული ბიუჯეტის 98.8%), ხოლო ფაქტობრივი ხარჯი - 6 793 047 ლარს. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 535 836 ლარს, რაც გამოწვეულია სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ ფედერალური პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ მიღებული 535 496 ლარის ღირებულების სამედიცინო მასალებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის მიერ უსასყიდლოდ მიღებული 340 ლარის ღირებულების ყავარჯნების გაცემით.

სხვა ხარჯების მუხლით გაწეული დაფინანსება შეადგენს 337 703 ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი - 338 448 ლარს. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 745 ლარს, რაც განპირობებულია სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2013 წელს პროგრამული დაფინანსების ფარგლებში მიღებული საწვავის 2014 წელს ხარჯვით.

არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულება შეადგენს 228 753 ლარს. მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებები - 190 400 ლარი (სოფლად პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის ფარგლებში), ხოლო დანარჩენი 38 353 ლარი გაწეულია სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შესყიდვაზე.

ვალდებულებების დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 7 415 ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 413 ლარი.

სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის 2014 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 7 679 059 ლარი, ხოლო დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 8 175 662 ლარი. სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის შეადგენს 496 603 ლარს, რაც განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით. სამინისტროს აპარატის 2014 წლის მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 076 769 ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 98.8%-ია. სრული ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (ლარში):



დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1 654 600	1 629 720	1 610 285	98.8
ხარჯები	1 625 300	1 593 048	1 573 614	98.8
შრომის ანაზღაურება	1 322 300	1 322 300	1 322 296	100.0
საქონელი და მომსახურება	289 500	263 904	244 492	92.6
სოციალური უზრუნველყოფა	5 500	500	483	96.5
სხვა ხარჯები	8 000	6 344	6 344	100.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	29 300	30 604	30 604	100.0
ვალდებულებების კლება		6 068	6 067	100.0
სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა	5 161 100	5 261 380	5 185 333	98.6
ხარჯები	4 996 200	5 070 980	4 994 933	98.5
საქონელი და მომსახურება	55 500	19 980	19 629	98.2
სოციალური უზრუნველყოფა	4 877 700	5 051 000	4 975 304	98.5
სხვა ხარჯები	63 000			
არაფინანსური აქტივების ზრდა	164 900	190 400	190 400	100.0
სოციალური დაცვა	863 359	1 284 562	1 281 150	99.7
ხარჯები	863 359	1 284 562	1 281 150	99.7
სოციალური უზრუნველყოფა	863 359	1 284 562	1 281 150	99.7
სულ:	7 679 059	8 175 662	8 076 769	98.8


როგორც ცხრილიდან ჩანს, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და მართვაზე გახარჯულია 1 610 285 ლარი (მთლიანი დაფინანსების 19.9%), სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე - 5 185 333 ლარი (მთლიანი დაფინანსების 64.2%), ხოლო სოციალურ დაცვაზე - 1 281 150 ლარი (მთლიანი დაფინანსების 15.9%).

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების დამტკიცებულმა და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 1 322 300 ლარი, საკასო ხარჯმა - 1 322 296 ლარი (დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის 100%), საიდანაც თანამდებობრივი სარგოს სახით გახარჯულია 774 511 ლარი, ხოლო პრემიის სახით - 547 785 ლარი. გაცემული პრემია მთლიანი შრომის ანაზღაურების 41.4%-ია, ხოლო თანამდებობრივი სარგოს - 70.7%. პრემია გაცემულია ყოველთვიურად, გარდა ოქტომბრის თვისა, თითოეულ



თანამშრომელზე ძირითადად თანამდებობრივი სარგოს 50%-ის ან/და 100%-ის ოდენობით. სრული ინფორმაცია თვეების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამის სახით (ლარში):



აუდიტის შედეგად აღინიშნა შემთხვევები³², როდესაც სამინისტროს საჯარო მოსამსახურე შესაბამისი თვის მთელი სამუშაო დღეების განმავლობაში სარგებლობდა ანაზღაურებადი/ ანაზღაურების გარეშე შვებულებით ან/და სამსახურებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებდა მხოლოდ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში და შესაბამის თვეში პრემია გაცემულია თანამდებობრივი სარგოს ნახევარი ან სრული ოდენობით.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების დამტკიცებულმა ბიუჯეტმა, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა და საკასო შესრულებამ შეადგინა 31 020 ლარი. სამინისტროში წლის განმავლობაში დასაქმებული იყო ხუთი შტატგარეშე მომუშავე, მათ შორის, სამი შტატგარეშე მოსამსახურე - მუდმივად, მთელი წლის განმავლობაში. აღნიშნულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები ერთი წლის, უწყვეტი 12 თვის ვადით. ამასთან, შტატგარეშე მომუშავეები ძირითადად, გარდა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის შტატგარეშე მოსამსახურისა, ასრულებენ დამხმარე მოსამსახურის შესასრულებელ სამუშაოს და ეს პროცესი არ ატარებს დროებით ხასიათს. შესაბამისად, დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“

³² ივლისი - 1 შემთხვევა, აგვისტო - 6 შემთხვევა, ნოემბერი - 1 შემთხვევა



საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომლის თანახმად შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ზვიად ვარშალომიძე

/აუდიტორი/

მიხეილ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

8 აპრილი 2015 წელი

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიში (მთელი)	ნაბი წლის დასაწყისისათვის	ნაბი წლის (გრატიული) ზღვარის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	წაღდი ფული საღარიბოში გროუნდულ ვალუტაში	1110	0	0
020	წაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120	0	0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში გროუნდულ ვალუტაში	1210	413	2
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220	0	0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230	0	0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	0	0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკანო ხარჯებისათვის	1250	0	0
080	დეპოზიტები ხაზინაში გროუნდულ ვალუტაში	1260	0	0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	0	0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	0	0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	0	0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	0	0
130	მოკლევადიანი სესხები	1320	0	0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	0	0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	0	0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	0	0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	0	0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	0	0
190	მოთხოვნები დარიცხული ვარიანტებით, სანქციებით და საკუთრებასთან	1354	0	0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	1355	0	0
210	გადახდილი დღე	1356	0	0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	0	0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	0	0
240	მოთხოვნები ფულად სახსრების და მათი ექვივალენტების დათმობისათვის	1359	0	0
250	სხვა დანართი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360	0	0
260	მოთხოვნები ბარტრით	1410	0	0
270	მოთხოვნები სადაზღვეო კომპანიების მიმართ	1420	0	0
280	მოთხოვნები საკონფლიქტო და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	41	0
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	0	0
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დათმობისათვის	1440	0	0
310	ანგარიშგაღებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	0	0
320	მოთხოვნების მიმართ მოთხოვნები	1460	0	0
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახადებისათვის	1470	0	0
340	სხვა დანართი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	0	0
350	გრძელვადიანი სესხები	1510	0	0
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	0	0
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530	0	0
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	0	0
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610	0	0
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	90739	205692
410	შენიშნა-ნაგებობები	2110	411235	405504
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	289112	283091
430	სხვა მორთავი აქტივები	2130	15939	12540
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	0	0
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	0	0
460	ფასიულობები	2300	0	0
470	არაწარმოებული აქტივები	2400	0	0
	ზაღიანი		807479	906829

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (ვარტლის)
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	0	0
490	მოშასხურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	7414	7649
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	0	0
510	ვალდებულებები ბარტერთ	3230	0	0
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	0	0
530	გადასახდელი დღე	3242	0	0
540	გადასახდელი სამუშაოვლო გადასახადი	3243	0	0
550	სხვა გადასახდელები	3244	0	0
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245	0	0
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246	0	0
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	0	0
590	შტატარზე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	0	0
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	0	0
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	0	0
620	დამპირადების მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით	3255	0	0
630	დამპირადების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით	3256	0	0
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მოსმუშავეების ხელფასებიდან დაკავებული	3257	0	0
650	გადასახდელი სტატუტები	3258	0	0
660	სოციალური დაზღვევის ანაზღაურებები	3259	0	0
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	0	0
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270	0	0
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	0	0
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310	0	0
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	0	0
720	მოშასხურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული	3331	0	0
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული	3332	0	0
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	0	0
II. კაპიტალი				
750	წმინდა დირექტულები	5100	80065	899180
760	სამშენებლო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	0	0
770	გაყვანილობის მოგება	5220	0	0
780	დადგენილი "ზარალი"	5230	0	0
	ზღვანაშ		807479	906829
III. საცნობარო მუხლები				
790	საინვესტიო იუარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული	01	0	0
800	პასუხისმგებლობის მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	34260	34260
810	გადახდისპირა დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	0	0
820	მარეგულირებელი მარეგულირებელი გამსაღებავები	04	0	0
830	პროვინციის მითხოვებები	05	0	0
840	პროვინციის ვალდებულებები	06	0	0
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	143612.63	157758
870	დადასტურებული დავალიანებები	09	0	0
880	გამსაღებავიანი მათი ხარჯები/გამსაღებავიანი გრძელვადიანი მათი	10	103079	112788
890	გამსაღებავიანი მათი ხარჯები/გამსაღებავიანი გრძელვადიანი მათი	11	0	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მოადარი ხელდასტური

ბ.ა.

"აღნიშნული სტრუქტურის მონაცემები ვალდებულებების ვალდებულებისა და კაპიტალის ჯამს



გვერდი: 1

შალის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება: "აჭარის ა. რ. განმრთვებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო"

კოდი 245428755

პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ხარჯების დამატებითი კლასიფიკაციის კოდი	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ზღვრით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდის შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	8637607	9099991	8965014	8959940	8959940	9587128	627188
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1988700	1988426	1988364	1988363	1988363	1988363	0
030	1.1.1 ხელფასები	211	1988700	1988426	1988364	1988363	1988363	1988363	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1988700	1988426	1988364	1988363	1988363	1988363	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო.	21111	1329097	1328823	1328763	1328762	1328762	1328762	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112	0	0	0	0	0	0	0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	659603	659603	659601	659601	659601	659601	0
080	1.1.1.1.4 დანაშატი	21114	0	0	0	0	0	0	0
090	1.1.1.1.5 პენსიონარი	21115	0	0	0	0	0	0	0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	0	0	0	0	0	0	0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112	0	0	0	0	0	0	0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1. ფაქტობრივად გამოხრციელებული სოციალური	2121	0	0	0	0	0	0	0
140	1.1.2.2. პირობითად გამოხრციელებული სოციალური	2122	0	0	0	0	0	0	0
150	1.2 საქონლო და მომსახურება	22	475800	413337	377863	376097	376097	383739	7642
160	1.2.1 შტატგარეშე მომსახურება ანაზღაურება	221	31020	31020	31020	31020	31020	31020	0
170	1.2.2 მიღონებები	222	37000	37000	33900	32134	32134	32134	0
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	154063	136914	121675	121675	121675	124691	3016
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	27500	23500	22800	22800	22800	22800	0
200	1.2.5 კვების ხარჯები	225	0	0	0	0	0	0	0
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	0	0	0	0	0	0	0
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად დაკომპონიოლო ხარჯები	227	200	200	200	200	200	200	0
			0	0	0	0	0	0	0

230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა, მოვლა-შენახვის ხარჯები	228	123637	117843	103028	103028	103028	107654	4626
			0	0	0	0	0	0	0
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტექნა-წამლის შეძენის ხარჯები	229	0	0	0	0	0	0	0
250	1.2.10 სხვა დანაშენი საქონელი და მომსახურება	2210	102380	66860	65240	65240	65240	65240	0
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23	0	0	0	0	0	82965	82965
270	1.4 პროცენტი	24	0	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411	0	0	0	0	0	0	0
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412	0	0	0	0	0	0	0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413	0	0	0	0	0	0	0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414	0	0	0	0	0	0	0
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო	242	0	0	0	0	0	0	0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული საშინაო	243	0	0	0	0	0	0	0
350	1.5 სუბსიდიები	25	0	0	0	0	0	0	0
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	0	0
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611	0	0	0	0	0	0	0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612	0	0	0	0	0	0	0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621	0	0	0	0	0	0	0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622	0	0	0	0	0	0	0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	0	0
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	0	0	0	0	0	0	0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632	0	0	0	0	0	0	0
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	5746559	6336336	6260943	6257777	6257777	6793613	535836
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	535496	535496
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711	0	0	0	0	0	0	0
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712	0	0	0	0	0	535496	535496
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	5741059	6335562	6260169	6257020	6257020	6257360	340
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	5741059	6335562	6260169	6257020	6257020	6257020	0
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722	0	0	0	0	0	340	340
530	1.7.3 დამქირავეების მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273	5500	774	774	757	757	757	0
540	1.7.3.1 სასაქონლო ფორმით	2731	5500	774	774	757	757	757	0

550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732	0	0	0	0	0	0	0
560	1.8 სხვა ხარჯები	28	426548	361892	337844	337703	337703	338448	745
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროდუქტის	281	0	0	0	0	0	0	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811	0	0	0	0	0	0	0
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თა	2812	0	0	0	0	0	0	0
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზ პოლისის მფლობელებზე ერეკლედება	2813	0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
610	1.8.1.4 რენტა	2814	0	0	0	0	0	0	0
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	426548	361892	337844	337703	337703	338448	745
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	426548	361892	337844	337703	337703	338448	745
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822	0	0	0	0	0	0	0
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
შ ა ჩ ვ ე ნ ე ზ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა		ბიუჯეტით			ბიუჯეტგარეშე				
		გდგმით	ფაქტიურად*		გდგმით	ფაქტიურად*			
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა		117	115.6						
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა		4	4						

* ფაქტიურად დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში თვეების მიხედვით დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობით

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

_____ 6. 6/2014

მთავარი მდივანი:

_____ *AG*

ბა.



გეგმა №169

ბალანსის დანართი ფორმა №2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინ. კოდი 245428755

პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების კოდები	დამატებული გეგმით	დამატებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	227600	228904	228753	228753	228753
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	227600	228904	228753	228753	228753
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	0	0	0	0	0
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111	0	0	0	0	0
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	0	0	0	0	0
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113	0	0	0	0	0
070	1.1.1.4 ქუჩები	31114	0	0	0	0	0
080	1.1.1.5 გზები	31115	0	0	0	0	0
090	1.1.1.6 ხიდები	31116	0	0	0	0	0
100	1.1.1.7 გვირაბები	31117	0	0	0	0	0
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	0	0	0	0	0
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119	0	0	0	0	0
130	1.1.1.10 მილსადენები	311110	0	0	0	0	0
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	0	0	0	0	0
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	227600	228904	228753	228753	228753
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	190400	190400	190400	190400	190400
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	37200	38504	38353	38353	38353
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	0	0	0
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131	0	0	0	0	0
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	0	0	0	0	0
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321	0	0	0	0	0
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322	0	0	0	0	0
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	0	0	0	0	0
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121	0	0	0	0	0
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	0	0	0	0	0
260	1.2.2.1 შედღეულები და მასალები	31221	0	0	0	0	0

270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222	0	0	0	0	0
280	1.2.2.3 შპა პროდუქცია	31223	0	0	0	0	0
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი	31224	0	0	0	0	0
300	1.3 ფასეულობები	313	0	0	0	0	0
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314	0	0	0	0	0
320	1.4.1 მიწა	3141	0	0	0	0	0
330	1.4.2 წიაღისეული	3142	0	0	0	0	0
340	1.4.3 სხვა ზუნებრივი აქტივები	3143	0	0	0	0	0
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431	0	0	0	0	0
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ზუნებრივი აქტივები	31432	0	0	0	0	0
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144	0	0	0	0	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: გ. ს. 12.5.1

მთავარი ხელაღმდგომი:



[Signature]

გვერდი №16: 1641

ბალანსის დანართი ფორმა №2-2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებით საკასო ოპერაციების
ორგანიზაციის დასახელება: "აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის I

პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

კოდი 245428756

ზომის

სტრუქტურული კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდი	ფინანსური აქტივებით დაზუსტებული გეგმით	ფინანსური აქტივებით დაზუსტებული გეგმით	ვალდებულებები	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
020	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212	0	0	0	0	0
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213	0	0	0	0	0
050	1.1.3 სესხები	3214	0	0	0	0	0
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215	0	0	0	0	0
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216	0	0	0	0	0
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217	0	0	0	0	0
090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218	0	0	0	0	0
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222	0	0	0	0	0
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223	0	0	0	0	0
130	1.2.3 სესხები	3224	0	0	0	0	0
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225	0	0	0	0	0
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226	0	0	0	0	0
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227	0	0	0	0	0
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228	0	0	0	0	0
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხების სპეციალური უფლება	323	0	0	0	0	0
190	2. ვალდებულებები	33	0	7415	7413	7413	7413
200	2.1 საშინაო	331	0	7415	7413	7413	7413
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312	0	0	0	0	0
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313	0	0	0	0	0
230	2.1.3 სესხები	3314	0	0	0	0	0
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მზ. სახელმწიფო სანარმოები და ორგანიზაციები)	3315	0	0	0	0	0

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა. რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

კოდი 245428755

პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

ანგარიშის №	დებეტი	თანა	ანგარიშის №	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	800065
7100	მომუშავეთა ასაზღაურება	1988362	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	9196105
7200	საქონელი და მომსახურება	383739	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	0
7300	ბირთიადი კაპიტალის მოხმარება		6000	შემოსავლები	652818
7310	მ.შ. ფიზიკური ცეცია	82965	6300	მ.შ. გრანტები	0
7400	პროცენტი	0			891757
7500	სუბსიდიები	0			0
7600	გრანტები	429339			0
7700	სოციალური უზრუნველყოფა	6793613			0
7800	სხვა ხარჯები	338448			0
	აქტივების უსასყიდლოდ გახელა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	1701		აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გახელა	32523
1300-1400	ფინანსური აქტივები	0	1300-1400	ფინანსური აქტივები	0
3000	ფინანსური ვალდებულებები	1701	3000	ფინანსური ვალდებულებები	0
1600 -2000	არაფინანსური აქტივები	0	1600 -2000	არაფინანსური აქტივები	32523
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	3061	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *	0			0
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	41			0
	სადებეტო ბრუნვა	10021269		საკრედიტო ბრუნვა	10120385
	სულ ჯამი: **	10021269		სულ ჯამი: ***	10920450
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	899181

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსულობებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთი წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



მედიური მუხრალტორი:

Handwritten signature.

ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება: "გაეროს ა. რ. კანონიერებისა და სოციალური დაცვის სამსახური"

კოდი 245428755

პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეულები:

სტრუქტურული კოდი	დასახელება	გვერდი	საგანი	ფაქტური
1	2	3	4	5
010	ფულადი სახსრების წამით წლის დასაწყისით		413	
020	გაეროს მიერ მიღებული მოგზაურობის ზრდის წამით წლის დასაწყისით			
030	შემოსულობები			
040	საოპერაციო შემოსავლები	0	20420	20831
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით	0	0	0
060	გადასახდელები	0	0	0
070	გრანტები	0	0	0
080	სხვა შემოსავლები	0	20420	20831
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან	0	0	0
100	ბ) საკონფლიქტო და მომხმარებლის რეკლამები	0	0	0
110	გ) სამედიცინო-კონსულტაციური	0	0	0
120	დ) მენეჯერული ტრენინგების გრანტები	0	0	0
130	ე) შერეული და სხვა არაფინანსური გრანტები	0	20420	20831
140	შემოსულობები	0	0	0
150	არაფინანსური აქტივების კლება	0	0	
160	ფინანსური აქტივების კლება	0	0	
170	ვალდებულებების ზრდა	0	0	
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები	0	20420	20831
190	გადასახდელები			
200	საოპერაციო ხარჯები	0	0	0
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი	0	20831
220	1.1. მომსახურების ხარჯები	21	0	0
230	1.2. საკონფლიქტო და მომხმარებლის	22	0	0
240	1.3. მომსახურების კონსულტაციის მომსახურება	23	0	0
250	1.4. მომსახურების	24	0	0
260	1.5. სხვა მომსახურების	25	0	0
270	1.6. გრანტები	26	0	0
280	1.7. სოციალური უზრუნველყოფა	27	0	0
290	1.8. სხვა ხარჯები	28	0	20831
300	გადასახდელები	0	0	0
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	0	
320	2.1. მომსახურების აქტივები	311	0	
330	2.2. საკონფლიქტო აქტივები	312	0	
340	2.3. ფინანსური აქტივები	313	0	
350	2.4. არაფინანსური აქტივები	314	0	
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32	0	
370	3.1. საბანკო	321	0	
380	3.2. საგარეო	322	0	
390	4. ვალდებულებების კლება	33	0	
400	4.1. საბანკო	331	0	
410	4.2. საგარეო	332	0	
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332	0	20831
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
440	არასაოპერაციო შემოსავლები		0	0
450	კერძო შიშის სხვაობით მიღებული შემოსავალი		0	0
460	არაფინანსური აქტივების უსაყიდლოდ მიღება			0
470	ფინანსური აქტივების უსაყიდლოდ მიღება			0

480	ვალდებულებების გადგემა			0
490	არასაოპერაციო ხარჯები		0	0
500	კერძო შიშის სხვაობით მიღებული ზრდა		0	0
510	არაფინანსური აქტივების უსაყიდლოდ მიღება			0
520	ფინანსური აქტივების უსაყიდლოდ მიღება			0
530	ვალდებულებების მოგება			0
540	მოგების გადგემა			0
550	წამით წლის ცვლილების ბილბი	0	2	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

სიმბოლო გამოიყენება

[illegible]

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ორგანიზაციის დასახელება: "აჭარის ა. რ. უნივერსიტეტისა და სოციალური დაცვის სამინისტრო"

კოდი 245428756

პერიოდულობა: 2014 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი, ცალი

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																		
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკაპო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტობრივი)			
			შეტანა		სხვა სახით მიღება		ექსპლუატაციიდან გასული		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილი	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილი
1 სატრანსპორტო საშუალება სული	11	153196	0	0	0	0	0	0	0	0	111370	33590	69079	8701	117410	33590	75119	8701
მათ შორის																		
1.1 მანქანა	8	87594	21	190400	0	238939	0	0	21	429339	95073	20413	69079	5581	75312	20413	49318	5581
1.2 ტრაქტორი და ავტოტრაქტორი	3	65602	0	0	1	32523	0	0	0	0	16297	13177		3120	42098	13177	25801	3120
1.3 სატექნიკური სატრანსპორტო საშუალებები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
1.4 სატვირთო	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ბ.ა.

